

მილგამა® კრემი / Milgama

- მწარმოებელი კომპანია: WORWAG Pharma
 - მწარმოებელი ქვეყანა: გერმანია
 - გამოშვების ფორმა: კრემი 45გ ტუბი #1
 - გაცემის რეჟიმი: III ჯგუფი (ურეცეპტოდ)
-

შემადგენლობა

შეიცავს 10% შარდოვანას.

მილგამა® მალამო ფეხის მოვლისათვის შეიცავს 10% შარდოვანას. იგი არ შეიცავს არომატიზატორებს და კონსერვანტებს.

ჩვენებები

მილგამა® მალამო ფეხის მოვლისათვის რეკომენდირებულია:

-ყოველდღიური მოვლისთვის მშრალი, გაუხეშებული, დამსკადი ფეხის ქუსლებისთვის;

-ფეხის კანის მოვლისთვის დიაბეტის, ნეიროდერმიტის და იქტიოზის დროს

შარდოვანა წარმოადგენს კანის ბუნებრივ ტენის შემაკავებელ კომპონენტს, რომელიც ჯანმრთელი რქოვანას ფენაში შეადგენს 1 % ს. ხშირად მშრალი კანის შემთხვევაში შარდოვანას შემადგენლობა კანის საფარველში შემცირებულია. შარდოვანა ფართოდ გამოიყენება დერმატოლოგიაში, რადგან ადვილად აღწევს კანის ფორებში, ამცირებს სიმშრალით გამოწვეულ ქავილს და არბილებს კანს .

მილგამა® მალამო ფეხის მოვლისათვის შეიცავს შარდოვანას მაღალი კონცენტრაციით. შესაბამისად ზრდის კანის უნარს შეიწოვოს და შეინარჩუნოს ბუნებრივი სინოტივე. ის ასევე ამცირებს კანის ალერგიულ რეაქციებს და გაღიზიანებას.

მილგამა® მალამო არ შეიცავს პარფიუმერულ, არომატულ დანამატებს და კონსერვანტებს.

მიღების წესები და დოზები

მილგამა® მალამო ფეხის მოვლისათვის დღეში რამდენჯერმე დაიტანება კანის დაზიანებულ ადგილებზე. სასურველია მსუბუქად შეუხეღვა.

გამოყენება არ არის რეკომენდებული კანის მწვავე ანთებითი დაავადებებისას. კანის რეგულარულ მოვლას, დიაბეტით დაავადებული პირებისთვის გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა.

განსაკუთრებული მითითებები

დიაბეტით დაავადებული პირები იმყოფებიან მაღალი რისკის ჯგუფში ტერფის დაზიანების თვალსაზრისით. კანის რეგულარულ მოვლას, დიაბეტით დაავადებული პირებისთვის გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა.

დიაბეტით დაავადებულ პირებს ხშირად ახასიათებთ ფეხის კანის სიმშრალე, მიდრეკილება ფეხის კანის ნახეთკებისაკენ. სამწუხაროდ, დიაბეტი ყოველთვის არ განიხილება როგორც მხოლოდ ნივთიერებათა ცვლის დარღვევა.

დიაბეტიკებში ნივთიერებათა ცვლის დარღვევა ამცირებს საოფლე და ცხიმის ჯირკვლების აქტივობას, რაც განსაკუთრებით ვლინდება ფეხზე და ქუსლებზე. დიაბეტიკებში ქუსლის კანის სიმშრალე ნიშნავს არა ცხიმოვანი ნივთიერების ნაკლებობას, არამედ მიუთითებს ტენიანობის არ არსებობაზე, რაც განპირობებულია ოფლის გამოყოფის ფუნქციის ცვლილებით.

შარდოვანას - ტენიანობის დამაგროვებელი საშუალების რეგულარულად მიღება, აძლიერებს კანში წყალის შეკავშირების ფუნქციას და არბილებს კანს.